975/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

585/2

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

54

№ 7 (414)

1975 წლის ივლისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 7 (414) ივლისი 1975 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

148. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის პირველ სესიაზე შემოტანილი წინადადებებისა და შენიშვნების შესახებ.

149. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახალხო განათლების შესახებ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე.

150. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ წყლის კოდექსის მე-9 მუხლის მეორე ნაწილის რედაქციის შეცვლის შესახებ.

151. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს აპარატის სტრუქტურის შესახებ.

152. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესების შესახებ.

153. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისა და საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების პირველი სესიების შედეგების შესახებ.

154. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წულუკიძის რაიონის სახალხო მოსამართლის მ. რ. კუხალაშვილის გათავისუფლების შესახებ.

155. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

განყოფილება მეორე

156 ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. ს. ადამიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ ... ბიბლიოთეკა

157. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ე. გობლონინიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

158. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ბ. თებიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

159. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. მანელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
საინფორმაციო ცნობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

148 საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის პირველ სესიაზე შემოტანილი წინადადებებისა და შენიშვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე დეპუტატების მიერ შემოტანილი წინადადებანი და შენიშვნები საქართველოს სსრ სახალხო განათლების შესახებ კანონის მიღებასთან დაკავშირებით, განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიღებული ზომების შესახებ ინფორმაცია წარმოუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 17 ივლისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

149 სახალხო განათლების შესახებ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე

„სახალხო განათლების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1975 წლის 28 ივნისის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. სახალხო განათლების შესახებ საქართველოს სსრ კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანამდე მოქმედებენ საქართველოს სსრ კანონმდებლობის ის აქტები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან აღნიშნულ კანონს.

2. საქართველოს სსრ კანონი სახალხო განათლების შესახებ გამოიყენება სახალხო განათლების დარგში იმ სამართლებრივ ურთიერთობათა მოწესრიგებისას, რომლებიც წარმოიშობა კანონის სამოქმედოდ შემოღების შედეგად, ესე იგი 1975 წლის 1 სექტემბრიდან.

1975 წლის 1 სექტემბრამდე წარმოშობილ სახალხო განათლების სამართლებრივ ურთიერთობებში კანონით გათვალისწინებულ წესებს იყენებენ იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლებებისა და მოვალეობების მიმართ, რომლებიც წარმოიშვა ამ კანონის სამოქმედოდ მიღების შემდეგ.

3. სახალხო განათლების შესახებ საქართველოს სსრ კანონით გათვალისწინებული წესები, რომლებიც ადრე დადგენილი იყო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლებით, გამოიყენება საფუძვლების შესაბამისი წესის სამოქმედოდ შემოღების დღიდან.

4. კანონის 39-ე მუხლით დადგენილი წესები ვრცელდება აგრეთვე მე-40 მუხლში გათვალისწინებულ კონტინგენტზეც.

5. კანონის 72-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესი პედაგოგიურ სამუშაოზე დაშვების პირობების შესახებ არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ შესაბამისი განათლება, მაგრამ აქვთ პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება და 1976 წლის 1 იანვრამდე დაშვებული არიან პედაგოგიურ სამუშაოზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 17 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

150 საქართველოს სსრ წყლის კოდექსის მე-9 მუხლის მეორე ნაწილის რედაქციის შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ წყლის კოდექსის მე-9 მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის სპეციალურად რწმუნებულ სახელმწიფო ორგანოებს წარმოადგენენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი და მისი ადგილობრივი ორგანოები მათი კომპეტენციის ფარგლებში“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 17 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

151 საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს აპარატის სტრუქტურის შესახებ

საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის მე-60 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს აპარატის შემდეგი სტრუქტურა:

ხელმძღვანელობა;

სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია;

სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია;

პლენუმის და პრეზიდიუმის სამდივნო;

სასამართლო პრაქტიკის განზოგადების და ინფორმაციის განყოფილება;

მისაღებისა და საჩივართა განყოფილება;

საქმეთა მმართველობა.

2. დადგინდეს, რომ საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან არსებობს:

„საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენის“ რედაქცია;

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო.

3. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 30 სექტემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს აპარატის სტრუქტურის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 17 ივლისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

152 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ამომრჩევლებთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების შეხვედრები გაიმართა მასების დიდი ორგანიზებულობისა და პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და სახალხო მეურნეობის განვითარების მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის მშრომელთა მობილიზაციის ნიშნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატობის კანდიდატებთან შეხვედრის დროს ამომრჩევლები მადლიერებით აღნიშნავდნენ იმ დიდ ყურადღებას, რომელსაც პარტიული მთავრობა, პირადად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი იჩენენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის, სხვადასხვა ქვეყნებს შორის დაძაბულობის შენელებისა და მსოფლიოში მშვიდობის დამკვიდრებისათვის. ამომრჩევლები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმ ღონისძიებათა გამო, რომლებსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა ატარებს რესპუბლიკაში ეკონომიური ჩამორჩენის დაძლევისათვის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დისციპლინის გაძმტკიცებისათვის, სახელმწიფო დოვლათის დამტაცებელთა, სპეკულანტების, მექრთამეების წინააღმდეგ საბრძოლველად.

დეპუტატობის კანდიდატების წინაშე დაყენებული საკითხების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები, განსაკუთრებით მოსახლეობის სავაჭრო, სამედიცინო, საყოფაცხოვრებო და კომუნალურ მომსახურებაში.

სულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს მისცეს 2961 განაწესი, რომელთაგანაც 1579 საკითხი შეეხებოდა ვაჭრობას, კომუნალურ და საყოფაცხოვრებო მომსახურებას, კეთილმოწყობას, მშენებლობას, 690 — მრეწველობას, 256 — სოფლის მეურნეობას, 220 — განათლებას, 198 — კულტურას და სხვა.

აღსანიშნავია, რომ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების, სამინისტროების, უწყებების, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების მნიშვნელოვანი ნაწილი დროულად შეუდგა ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას, რის შედეგად, საარჩევნო კამპანიის პერიოდშივე, შესრულებული და მოგვარებულია ამომრჩეველთა მიერ დაყენებული ბევრი საკითხი.

ამჟამად, როცა რესპუბლიკაში, ისე როგორც მთელს ჩვენს ქვეყანაში, გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შესახვედრად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამომრჩეველთა განაწესების განხორციელებას, სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულებას, მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ადგილობრივი რეზერვების უფრო ფართოდ გამოყენებას და **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესები განსახილველად და მათი შესრულებისათვის სათანადო ღონისძიებების გასატარებლად გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მდგომარეობის შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

2. საქართველოს სსრ სამინისტროებმა, უწყებებმა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა ამომრჩეველთა განაწესების შესრულება მიიჩნიონ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვალეობად.

განაწესების შესრულებისას მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი საშუალებები და რესურსები და, რაც მთავარია, უზრუნველყონ მათ განხორციელებაში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა. ამასთან სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების შემუშავებისა და ბიუჯეტის შედგენის დროს გაითვალისწინონ განაწესების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები. განაწესების შესრულების მდგომარეობის შესახებ საქმის კურსში დააყენონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპუტატები.

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამომრჩეველთა განაწესების განხორციელებასა და მათ შესასრულებლად მოსახლეობის დარაზმვაში. პერიოდულად შეამოწმონ სამინისტროებსა და უწყებებში მათ მიერ დაყენებული საკითხების განხილვა-გადაწყვეტის მდგომარეობა და შედეგების შესახებ ინფორმაცია გაუკეთონ ამომრჩევლებს.

4. რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ მეტი ყურადღება დაუთმონ ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მდგომარეობის საკითხების გაშუქებას, — განაწესების განხორციელებისათვის ცალკეული სამინისტროების, უწყებების, საბჭოების დეპუტატების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას.

5. მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთ სესიას მოხსენდეს საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 17 ივლისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

153 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისა და საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების პირველი სესიების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობდა ორგანიზებულად, მასების მაღალი პოლიტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კური და შრომითი აქტივობის, სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ბრძოლის ვითარებაში. არჩევნები ჩატარდა საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებმა ახალი ძალით ცხადყო საბჭოთა დემოკრატიის გამარჯვება, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ერთგულება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი.

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის ამომრჩეველთა 99,99 პროცენტმა დეპუტატების კანდიდატებს ხმა მისცა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა 99,99 პროცენტმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში არჩეულია მუშა — 124 (31,0 პროცენტი), კოლმეურნე — 77 (19,3 პროცენტი), ქალი — 142 (35,5 პროცენტი), უპარტიო — 136 (34,0 პროცენტი), 63 დეპუტატი (15,8 პროცენტი), 30 წლამდე ასაკისაა, 318 დეპუტატი (79,5 პროცენტი) არ ყოფილა საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

წინა მოწვევასთან შედარებით დეპუტატთა შემადგენლობაში მეტია არჩეული ქალი, მუშა და 30 წლის ასაკამდე ახალგაზრდა.

არჩეულ იქნა 1 საოლქო, 66 რაიონული, 51 საქალაქო, ქალაქ თბილისის 8 რაიონული, 925 სასოფლო და 53 სადაბო საბჭოს 49248 დეპუტატი.

არჩევნების დღეს ერთ რაიონულ და ორ სასოფლო საარჩევნო ოლქში არჩევნები არ ჩატარებულა დეპუტატობის კანდიდატთა გარდაცვალების გამო.

ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა შორის არჩეულია ქალი 23704 (48,1 პროცენტი), უპარტიო — 27923 (56,7 პროცენტი), მუშა და კოლმეურნე — 33174 (67,4 პროცენტი), 14068 დეპუტატი (28,6 პროცენტი) 30 წლამდე ასაკის, 28792 დეპუტატი (58,8 პროცენტი) არ ყოფილა წინა მოწვევის ადგილობრივი საბჭოს დეპუტატი. წინა მოწვევასთან შედარებით დეპუტატთა შემადგენლობაში არჩეულია ქალი 600-ით მეტი, ალკკ წევრი — 579-ით, მუშა და კოლმეურნე — 422-ით მეტი და სხვა.

მიმდინარე წლის 20 ივნისიდან პირველ ივლისამდე რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში გაიმართა მშრომელთა დეპუტატების მეთხუთმეტე მოწვევის ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიები. სესიები ყველგან ჩატარდა მაღალ დონეზე და ორგანიზებულად.

გასულ მოწვევასთან შედარებით გაუმჯობესდა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების წევრთა შემადგენლობა მათი განათლების დონის მიხედვით. თუ მეთოთხმეტე მოწვევის საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შემადგენლობაში არჩეულ დეპუტატთა შორის უმაღლესი განათლება ჰქონდა 50,6 პროცენტს, ამჟამად უმაღლესი განათლება აქვს 52,4 პროცენტს.

აღმასრულებელი კომიტეტების წევრთა შემადგენლობაში არჩეულია სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტი: 672 მასწავლებელი, 641 სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, 313 ინჟინერ-ეკონომისტი და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმასრულებელი კომიტეტების შემადგენლობა განახლდა 41,6 პროცენტით, გაიზარდა ახალგაზრდობის რიცხვი, სულ აღმასრულებელი კომიტეტების შემადგენლობაში არჩეულია 30 წლამდე ასაკის 894 დეპუტატი, მათ შორის 419 კომკავშირელია.

აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებიდან 784 ანუ 71,0 პროცენტი უმაღლესი განათლებითაა, რაც 11,6 პროცენტით მეტია გასულ მოწვევასთან შედარებით.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების პირველ სესიებზე შეიქმნა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის 6755 მუდმივი კომისია, რომელშიც არჩეულია 40605 დეპუტატი, რაც დეპუტატთა მთელი შემადგენლობის 82,5 პროცენტია.

როგორც წესი, პირველ სესიებზე, ორგანიზაციული საკითხების გარდა განხილულ იქნა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვადასხვა აქტუალური საკითხი. საბჭოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა განიხილა და დაამტკიცა აგრეთვე ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებანი.

მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების და პირველი სესიების ჩატარების დროს ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებს.

იმის გამო, რომ ზოგიერთი რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საჭირო ყურადღებით არ მოეკიდა არჩევნებთან დაკავშირებული ცნობების შედგენას, განსხვავება იყო რეგისტრირებული კანდიდატებისა და არჩეული დეპუტატების მონაცემებში (ახალციხის, მაიაკოვსკის, მარნეულის, მცხეთის, ონის, სიღნაღის, ყაზბეგის, ყვარლისა და ცაგერის რაიონები).

ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თამჯდომარედ და მდივნად კვლავ არჩეული არიან არასრული საშუალო განათლების მქონე დეპუტატები, ასეთია — სასოფლო საბჭოს ექვსი თავმჯდომარე და რვა მდივანი.

რიგ რაიონში ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებად ქალების არჩევის საკითხს, რის გამოც ბოლო წლებში მათი რიცხვი თანდათან მცირდება. ამჟამად 925 სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარიდან ქალია 65, მაშინ, როდესაც წინა მოწვევის დროს იყო — 83, ასევე შემცირებულია აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ქალთა რიცხვი (იყო 78, ამჟამად კი არის 61) და აღმასკომის წევრ ქალთა რიცხვი (იყო 1292, ამჟამად არის 1250).

არც ერთი ქალი არ არის არჩეული სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ რესპუბლიკის 22 რაიონში (გარდაბანი, თეთრი წყარო, საგარეჯო, სიღნაღი და სხვა).

ამბროლაურის, ახალციხის, გეგეჭკორის, საგარეჯოს, ყაზბეგის, ჩოხატაურის, ხაშურის რაიონული, დუშეთის, თელავის, კასპის, წალენჯიხის საქალაქო, ფასანაურის, მაიაკოვსკისა და სურამის სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შემადგენლობაში არჩეული არ არიან უპარტიოები.

შეცდომებია დაშვებული მუდმივი კომისიების შექმნის დროს. ზოგიერთ რაიონში არ არის შექმნილი ისეთი მუდმივი კომისია, რომლის შექმნა კანონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაბამისად აუცილებელია. მაგალითად, წალკის რაიონის ბედიანის საბჭოს არ შეუქმნია საგეგმო საბიუჯეტო მუდმივი კომისია, სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიები არ შეუქმნია მესტიის რაიონის ორ და ლენტეხის რაიონის ერთ სასოფლო საბჭოს.

გეგეჭკორის, საჩხერის და სიღნაღის რაიონული საბჭოების აღმასკომების შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებათა უფროსების ნაცვლად დამტკიცებულია განყოფილებათა გამგეები.

ლენტეხის რაიონული საბჭოს სესიამ ადმინისტრაციულ და სამეთვალყურეო კომისიებში აირჩია 5-5 კაცი, ნაცვლად დებულებით გათვალისწინებული შვიდი კაცისა, ხოლო გეგეჭკორის რაიონული საბჭოს სესიამ ადმინისტრაციული, სამეთვალყურეო და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები აღმასკომის ნაცვლად შექმნა საბჭოსთან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) თავიანთ საქმიანობაში მტკიცედ იხელმძღვანელონ კანონებით მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შესახებ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლოდროინდელი დადგენილებებით;

საბჭოების, ყველა მისი დეპუტატის, მუდმივი კომისიების და აღმასკომების მუშაობის გაუმჯობესებით აქტიური მონაწილეობა მიიღონ მეცხრე ხუთწლედის მეხუთე დამამთავრებელი წლის გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებაში, პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრაში;

ბ) სისტემატურად შეისწავლონ და სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე განიხილონ მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის გეგმების შესრულების, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების, მოსახლეობის სამედიცინო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების, სახალხო მეურნეობის სხვა დარგების აქტუალური საკითხები. გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის;

გ) მიიღონ ზომები ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად. გააძლიერონ დეპუტატების, დეპუტატთა ჯგუფების და მუდმივი კომისიების საქმიანობა განაწესების შესრულების ორგანიზაციის საქმეში. მიაღწიონ იმას, რომ დეპუტატები ამომრჩეველთა წინაშე სისტემატურად გამოდიოდნენ ანგარიშებით განაწესების შესრულების მდგომარეობის შესახებ, უფრო მეტად გამოიყენონ შეკითხვის წესით სესიებზე საკითხის დაყენების უფლება;

დ) საჭირო დახმარება გაუწიონ საბჭოების დეპუტატებს მათს მოვალეობათა შესრულებაში. მოაწყონ დეპუტატთა ოთახები (კუთხეები). სისტემატურად ჩაატარონ მათთვის „დეპუტატის დღე", სადაც სტატუსის შესაბამისად, ფართოდ გააცნონ მათი უფლება-მოვალეობანი, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი დადგენილებები და ნორმატიული აქტები. უკეთ მოაწყონ დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების ორგანიზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცია. მიიღონ ქმედითი ზომები ამომრჩეველთა წინადადებების აღრიცხვის, განხილვისა და შესრულებისათვის;

ე) აქტიურად ჩააბან მუდმივი კომისიები საბჭოების პრაქტიკულ საქმიანობაში, სესიებსა და აღმასკომების სხდომებისათვის საკითხების მომზადებაგანხილვასა და საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში; შეუქმნან მათ მუშაობის ნორმალური პირობები და მიაღწიონ იმას, რომ მუდმივი კომისიები სრულად იყენებდნენ დებულებით მინიჭებულ უფლებებს;

ვ) გააუმჯობესონ საბჭოების სესიებისა და აღმასკომების სხდომების მომზადების საქმე. დაიცვან სესიების მოწვევის კანონით დადგენილი ვადები. საათანადო კონტროლი დააწესონ სესიებისა და აღმასკომების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე;

ზ) საბჭოების მუშაობაში მეტად დანერგონ საჯაროობის პრინციპი, მიაღწიონ იმას, რომ აღმასრულებელი კომიტეტები, მათი განყოფილებები და სამმართველოები რეგულარულად აბარებდნენ ანგარიშებს მოსახლეობას თავიანთი მუშაობის შესახებ, ამასთან უზრუნველყონ მოსახლეობასთან შეხვედრის დროს წამოყენებულ საქმიან წინადადებათა განხორციელება;

თ) ზემდგომმა საბჭოებმა პერიოდულად მოაწყონ ქვემდგომი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტთა თავმჯდომარეებისათვის, მდივნებისა და მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებისათვის სემინარები, საინსტრუქტაჟო თათბირები, მოხსენებები და საუბრები საბჭოების მუშაობის ცალკეულ საკითხებზე. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაკთა სწავლების საქმეს, მათი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დონის ამაღლებას.

2. საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებმა, რომლებმაც პირველ სესიებზე მიიღეს არასწორი გადაწყვეტილებები, გადასინჯონ ისინი მორიგ სესიაზე და შეუსაბამონ კანონს.

3. დაევალოს საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს მიმდინარე წლის ივლის-აგვისტოში ჩაატარონ მუდმივი კომისიების თავმჯდომარეების, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების და აღმასკომების მუშაკების თათბირ-სემინარი საბჭოების მუშაობის პრაქტიკულ საკითხებზე. სემინარის მონაწილეების ყურადღება მიაქციონ დეპუტატების, მუდმივი კომისიებისა და ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებას, რათა ისინი თავიანთი საქმიანობით ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ მასების მობილიზაციას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გეგმების წარმატებით შესასრულებლად და პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შესახვედრად.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ იმ საარჩევნო ოლქებში, სადაც არჩევნები არ ჩატარებულა,—ერთ ოლქში არჩევნები უკვე ჩატარდა, ხოლო ორში გაიმართება უახლოეს დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების, მუშაობის საკითხების განყოფილებამ მეტი პრაქტიკული დახმარება გაუწიოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 17 ივლისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

154 წულუკიძის რაიონის სახალხო მოსამართლის მ. რ. კუხალაშვილის გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. მიხეილ რაფიელის ძე **კუხალაშვილი** წულუკიძის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 17 ივლისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

155 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეთვალყურეო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე — ოთარ ვალერიანის ძე **მელქაძე** — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — რუსუდან ალექსანდრეს ასული **ჯაფარიძე** — საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს მდივანი.

კომისიის მდივანი — ვლადიმერ ვასილის ძე **პაპიტაშვილი** — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის რეფერენტი იურიდიულ საკითხებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის წევრები

დიმიტრი სარდიონის ძე **აბულაძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ალექსანდრე ილიას ძე **ბუაძე** — ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის დირექტორი.

კარლო ვლადიმერის ძე **გეგელაშვილი** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე.

ნოდარ სარდიონის ძე **გურაბანიძე** — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე.

ვლადიმერ ექვთიმეს ძე **ზარელუა** — გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი.

უშანგი პლატონის ძე **ობოლაძე** — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე.

აპოლონ იაკობის ძე **ფალიაშვილი** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.

სერგო ტარასის ძე **რიგვავა** — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ივანე თეიმურაზის ძე **ხაბულიანი** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

ოთარ ირაკლის ძე **მენაბდე** — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი.

გენადი ვალერიანის ძე **მაქაცარია** — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე.

ჯემალ გერონტის ძე **მახარაძე** — თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის დირექტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ზ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 29 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

156 **ამხ. ო. ს. ადამიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის წულუკიძის რაიკომის მეორე მდივანი ამხ. ოთარ სევერიანეს ძე **ადამია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 3 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

157 **ამხ. ა. ე. გოგბრონიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

კომკავშირულ და ადმინისტრაციულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ამხ. ალიოშა ერმილეს ძე **გობრონიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 3 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

158 ამხ. დ. ბ. თებიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით, პერსონალური პენსიონერი ამხ. დავით ბაგრატის ძე **თებიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 3 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

159 ამხ. პ. ვ. ხუჭუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის მოვალეობის შემსრულებელი, ამხ. პავლე ვასილის ძე **ხუჭუა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 9 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

160 ამხ. ა. ა. მანელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების გაუქმებ-ლების გამგე ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **მანელაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 23 ივლისი.

განკოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1975 წლის 17 ივლისის სხდომაზე მოისმინა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის ამხ. ვ. მაისურაძის, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. ა. კარანაძის მოხსენებები და განიხილა იურიდიული განყოფილების მიერ წარმოდგენილი მასალები სასამართლო ორგანოებში საქმეთა განხილვის საჯაროობის პრინციპის დაცვისა და მუშაობის კულტურის შესახებ და აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სასამართლოები, ხელმძღვანელობენ რა პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციებით, კანონით სასამართლო წყობილების შესახებ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლოდროინდელი დადგენილებებით ადმინისტრაციული ორგანოებისა და იუსტიციის სამინისტროს მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევიან სასამართლოებში საქმეთა განხილვის დროს საჯაროობის პრინციპის დაცვისა და მუშაობის კულტურის ამაღლებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქმეთა განხილვას გამსვლელ სესიებზე მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენელთა მონაწილეობით. რესპუბლიკურ და ადგილობრივ პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში ხშირად შუქდება სასამართლო პროცესების მსვლელობა. სასამართლოები მეტ ყურადღებას უთმობენ დანაშაულის წარმომშობი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების დადგენას და მათ აღმოსაფხვრელად სათანადო ორგანოებში აკეთებენ წარდგინებებს, გამოაქვთ კერძო განჩინებები. გაიზარდა გამსვლელ სესიებზე განხილულ საქმეთა რიცხვი. საზოგადოებრიობის წარმომადგენლები უფრო აქტიურად მონაწილეობენ მასში.

მეტი ყურადღება ექცევა სასამართლო ორგანოების მუშაობის პირობების გაუმჯობესებას. უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში სახალხო სასამართლოებისათვის აშენდა 15 შენობა, მოეწყო სათანადო ინვენტარითა და ავეჯით. ამჟამად შენდება 10 შენობა. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში კაპიტალურად შეკეთდა 17 შენობა და სხვ. ადგილობრივი საბჭოები ამ საქმეში უფრო მეტ დახმარებას უწევენ სახალხო სასამართლოებს. საჭირო თანხები გამოიყო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი მუშაობაა გაწეული საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მეთაურ-ბის გამოთავისუფლების, რეკონსტრუქციისა და თანამედროვე ტექნიკით აღ-ჭურვისათვის.

სასამართლოს მუშაკთა პროფესიული დონის ამაღლების მიზნით საქარ-თველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან შექმნილია კვალიფიკაციის ამაღლე-ბის მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსები, სადაც კვალიფიკაცია აიმაღლეს სახალხო მოსამართლეებმა, აღმასრულებლებმა, უფროსმა მდივნებმა და სხდო-მის მდივნებმა, სულ 1035 მუშაკმა.

ამასთან ერთად რესპუბლიკის სასამართლოებში საქმეთა განხილვის საჯა-როობის პრინციპის დაცვა და მუშაობის კულტურა ჯერ კიდევ ვერ დგას სა-თანადო სიმაღლეზე.

იმის გამო, რომ სასამართლო პროცესები კარგად ვერ არის ორგანიზებუ-ლი, ხშირ შემთხვევაში მათი აღმზრდელობითი ზემოქმედება ვერ აღწევს და-სახულ მიზანს.

სასამართლო პროცესების ნორმალურ ორგანიზაციასა და ჩატარებას ხელს უშლის აგრეთვე ის, რომ ბევრი სახალხო სასამართლო მოთავსებულია სრუ-ლიად უვარგის, შეუფერებელ შენობაში, უზრუნველყოფილი არ არის სათა-ნადო ავეჯით, ინვენტარითა და სხვ. წლიდან წლამდე არ სრულდება სასამარ-თლოებისათვის შენობათა მშენებლობის გეგმები.

სასამართლოების მუშაობის დაბალ კულტურაზე მეტყველებს, საქმეთა განხილვის გაჭიანურება, რაც ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია საქმეთა უსა-ფუძვლო აცილებით ან უკანონო შეჩერებით.

მოსამართლეები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ განსახილველ საქმე-თა წინასწარ შესწავლასა და მომზადებას, პროცესში მონაწილე პირთა მიერ საქმეების საფუძვლიან შესწავლას. ყოველივე ეს განაპირობებს სასამართლო სხდომების გაჭიანურებას, პროცესების ჩაშლას და სხვ.

პროცესების დაგვიანებით დაწყებისა და ჩაშლის გამო სასამართლო სხდო-მაზე მოწვეულ მოწმეებს, პროცესის მონაწილე სხვა პირებს და დამსწრე საზო-გადოებას უხდებათ დიდხანს ლოდინი ან რამდენჯერმე მისვლა სასამართლოში, რაც მათ სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

სასამართლო სხდომის დაგვიანებით დაწყება და პროცესების ჩაშლა გამო-წვეულია იმითაც, რომ სასამართლოები დაინტერესებულ პირთ დროულად არ ატყობინებენ სხდომის დაწყების დროსა და ადგილს. ერთსა და იმავე დღეს. ერთსა და იმავე მოსამართლეს რამდენიმე საქმის განხილვა აქვს დანიშნული.

მილიციის ორგანოები ყოველთვის ვერ უზრუნველყოფენ სასამართლო პროცესზე პატიმრების დანიშნულ დროზე მოყვანას.

რესპუბლიკის უმრავლეს სახალხო სასამართლოში პროკურორების, ადვო-კატებისა და პროცესის მონაწილე სხვა პირებისათვის შექმნილი არ არის მუშა-ობის ნორმალური პირობები. ხშირად ადვოკატებს პროცესში მონაწილეობისა-თვის იწვევენ ძალზე დაგვიანებით, რის გამოც მათ საქმის გაცნობა უხდებათ პროცესის მსვლელობის დროს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს საქმის განხი-ლვის ხარისხზე.

ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც სასამართლოს შემადგენლობის ზოგიერთი წევრი წინასწარ ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას განსახილველი საქმისადმი, გამოთქვამს შეხედულებას ამა თუ იმ პირის სასარგებლოდ, არ აკმაყოფილებს მხარეთა კანონიერ შუამდგომლობებს, დაუსაბუთებლად ეუბნება უარს შეკითხვების მიცემაზე, იჩენს უტაქტობას პროცესში მონაწილე პირთა და დამსწრე საზოგადოების მიმართ.

ყველა სასამართლო არ ითვალისწინებს სწორად შედგენილი და იურიდიულად დასაბუთებული დოკუმენტების დიდ აღმზრდელობით და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მნიშვნელობას და სასამართლო დოკუმენტებს — განაჩენებს, გადაწყვეტილებებს, განჩინებებს, კერძო განჩინებებს ადგენს უხარისხოდ, იურიდიულად არასწორად.

არც თუ იშვიათად სწორედ ამ მიზეზით იცვლება ან უქმდება განაჩენები და გადაწყვეტილებები ზემდგომ სასამართლო ინსტანციებში.

სასამართლოები ზოგჯერ ფორმალურად ეკიდებიან საზოგადოებრივი ბრალმდებლებისა და საზოგადოებრივი დამცველების პროცესში მონაწილეობის საკითხს, წინასწარ არ აცნობენ განსახილველ საქმეს, არ განუმარტავენ კანონებს, მათ უფლება-მოვალეობებს. თითქმის იგივე შეიძლება ითქვას სახალხო მსაჯულთა მიმართაც, აღნიშნულის შედეგად ისინი აქტიურად არ მონაწილეობენ პროცესის მსვლელობაში. ხშირ შემთხვევაში საზოგადოებრივი ბრალმდებელი გამოდის, როგორც საზოგადოებრივი დამცველი და, პირიქით.

რიგ სასამართლოში სასამართლოს მუშაკების მიერ არ არის დაწესებული კონტროლი მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვაზე, განაჩენების და გადაწყვეტილებების აღსრულებაზე, მოქალაქეებს ეძლევათ არასრულყოფილი პასუხები და სხვა.

სასამართლოები უზრუნველყოფილი არ არიან იურიდიული ლიტერატურით. ბევრგან მოუგვარებელია კანონმდებლობის კოდიფიკაციის საქმე.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსა და უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელობა არასაკმაო ყურადღებას უთმობს სასამართლო ორგანოების მუშაკთა თეორიული და პროფესიული ცოდნის დონის ამაღლებას, სასამართლოსა და მოსამართლის დადებითი მუშაობის გამოცდილების განზოგადებას და გავრცელებას.

პროკურატურის ორგანოები, კანონის შესაბამისად, სრულყოფილად არ ახორციელებენ ზედამხედველობას სასამართლო ორგანოებზე, არ იღებენ ზომებს უკანონო განაჩენების შესაცვლელად.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები საჭირო ყურადღებას არ უთმობენ სასამართლოების მუშაობას, სათანადო მზრუნველობას არ იჩენენ სასამართლო პროცესების სათანადო ორგანიზაციისათვის და სასამართლოების მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხოვნათა შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოებისა და იუსტიციის სამინისტროს მუშაობის გაუმჯობესების შესახებ დადგენილებათა საფუძველზე დაავალა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს და უმაღლეს სასამართლოს გადაჭრით გააუმჯობესონ სასამართლო განხილვის საჯაროობა, მიიღონ ზომები სასამართლო ორგანოების მუშაობის კულტურის დონის შემდგომი ამაღლებისათვის, რისთვისაც:

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სასამართლო ორგანოების მუშაკთა თეორიული ცოდნის დონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებას; იუსტიციის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი რესპუბლიკური კურსების მუშაობის უკეთ ორგანიზაციით, თათბირ-სემინარების ჩატარებით, მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადებით, ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ სასამართლოს მუშაკებს პრაქტიკულ საქმიანობაში;

ყოველმხრივ აამაღლონ სასამართლო სხდომების ჩატარების კულტურის დონე, არსებითად გააუმჯობესონ განხილვისათვის საქმეთა წინასწარი მომზადება, კანონის შესაბამისად მათი დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა. რეაგირების გარეშე არ დატოვონ სასამართლო სხდომის დაგვიანებით დაწყების, გადადების ან ჩაშლის არც ერთი შემთხვევა, დაადგინონ სხდომის ჩაუტარებლობის მიზეზები და გაატარონ კონკრეტული ღონისძიებები ასეთ შემთხვევათა აღსაკვეთად;

აღმოფხვრან ფორმალიზმი გამსვლელ სესიებზე საქმეთა განხილვის პრაქტიკაში. მუშაობა ისე წარმართონ, რომ თითოეული სისხლისა თუ სამოქალაქო სამართლის საქმის განხილვა ნამდვილად ემსახურებოდეს საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური თანაცხოვრების ნორმების განმტკიცებას, მოქალაქეთა მართლშეგნების და კანონიერებისადმი პატივისცემის გრძნობის ამაღლებას. საქმეთა განხილვაში ფართოდ ჩააბან მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენლები, მსაჯულებთან, საზოგადოებრივ ბრალმდებლებთან და დამცველებთან სათანადო მუშაობის ჩატარებით მიაღწიონ საქმეთა განხილვაში მათ აქტიურ მონაწილეობას. ამასთან უფრო მეტად ჩააბან ისინი განაჩენებისა და გადაწყვეტილებების მასებისათვის განმარტების საქმეში;

მიაღწიონ განაჩენების, გადაწყვეტილებების, განჩინებებისა და სხვა სასამართლო დოკუმენტების შედგენის ხარისხის გაუმჯობესებას. პერიოდულად სპეციალური მსჯელობის საგნად გახადონ სასამართლო დოკუმენტაციის შედგენის საკითხები. დოკუმენტების გაფორმების საქმეში დაშვებულ შეცდომებზე მისცენ წერილობითი და ზეპირი მითითებები, გაუგზავნონ მეთოდური წერილები და სხვა;

უზრუნველყონ სასამართლოები საკანონმდებლო აქტებითა და იურიდიული ლიტერატურით, უკეთ მოაწყონ საკოდიფიკაციო მუშაობა; ამ საკითხების გაშუქებას მეტი ყურადღება დაუთმონ ჟურნალ „საბჭოთა სამართლისა“ და „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენის“ სარედაქციო კოლეგიებმა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი სასამართლო პროცესში მონაწილე პროკურორების, ადვოკატების, ექსპერტებისა და სხვა პირთათვის მუშაობის ნორმალური პირობების შესაქმნელად; მიიღონ ზომები, რათა პროცესზე შეიქმნას თავაზიანობისა და ურთიერთ პატივისცემის ატმოსფერო, როგორც სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკების, ასევე პროცესზე გამოძახებულ მოწმეთა და დამსწრე საზოგადოების მხრივ;

გააუმჯობესონ მოქალაქეთა მიღების და მათი საჩივრების განხილვის საქმე უზრუნველყონ ცნობებისა და სასამართლო დოკუმენტების ასლების გაცემა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, საჩივრებისა და განცხადებების დადგენილ ვადაში განხილვა, სასამართლო ორგანოების მუშაობაში გადაჭრით აღკვეთონ ბიუროკრატიზმი, უხეშობა და მოქალაქეთა მიმართ უყურადღებო დამოკიდებულება.

საქართველოს სსრ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს წინადადება მიეცათ დასახონ ერთობლივი ღონისძიებანი სასამართლო პროცესებზე პატიმართა მიყვანის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საქართველოს სსრ პროკურატურას დაევალა გააძლიეროს ზედამხედველობა სასამართლო ორგანოების მიერ საპროცესო ნორმების დაცვაზე და განაჩენებისა და განჩინებების კანონიერებაზე.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ მეტი დახმარება გაუწიონ სასამართლო ორგანოებს პროცესების აღმზრდელობითი როლის ამაღლებაში, გამსვლელი სესიების მოწყობასა და მასში მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენელთა მონაწილეობის უკეთ ორგანიზაციაში, გაზარდონ ამ საქმეში უშუალოდ წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა. უფრო მეტად გამოიყენონ ადგილობრივი შესაძლებლობანი სასამართლოების მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის.

რესპუბლიკურსა და ადგილობრივ პრესას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცათ უფრო მეტად გააშუქონ ისეთი სასამართლო პროცესები, რომლებსაც განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ; ყურადღება დაუთმონ სასამართლოების მუშაობის კულტურასთან დაკავშირებულ საკითხებს.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს დაევალა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამართლის სექტორთან ერთად მოამზადოს გამოსაცემად სახელმძღვანელო ლიტერატურა სასამართლო პროცესების საჯაროობის პრინციპისა და პროცესების ორგანიზაციის შესახებ, ხოლო გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტს დაევალა უზრუნველყოს მათი გამოცემა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება მიეცა მიიღოს ზომები სასამართლოებისათვის შენობების მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უმაღლესი სასამართლოს შენობის რეკონსტრუქციისათვის გამოყოფილი თანხების ასათვისებლად. სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების შედგენისას გაითვალისწინოს სასამართლოების შენობების მშენებლობის და მათი სპეციალური ავეჯით უზრუნველყოფის საკითხი.

საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1975 წლის 17 ივლისის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დააჯილდოვა 358 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან		24
ქ. გორიდან		1
ქ. ფოთიდან		3
ახალქალაქის	რაიონიდან	13
ახალციხის	„	5
ახმეტის	„	1
ბოგდანოვკის	„	3
ბოლნისის	„	21
გარდაბნის	„	32
დმანისის	„	96
ზუგდიდის	„	7
თელავის	„	2
თეთრი წყაროს	„	21
ლაგოდეხის	„	12
ლანჩხუთის	„	4
მარნეულის	„	24
მახარაძის	„	13
მცხეთის	„	3
საგარეჯოს	„	36
სიღნაღის	„	4
ცაგერის	„	7
წალენჯიხის	„	9
წალკის	„	17

*

* *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1975 წლის 17 ივლისის ბრძანებულებით მედლით „შრომის ვეტერანი“ დააჯილდოვა 641 კაცი, მათ შორის:

ქ. თბილისის კალინინის რაიონიდან 163

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. თბილისის ორჯონიკიძის	რაიონიდან	134
ქ. რუსთავიდან		82
ახალქალაქის	რაიონიდან	34
დუშეთის	„	2
ვანის	„	26
თერჯოლის	„	25
მაიაკოვსკის	„	13
მარნეულის	„	13
მცხეთის	„	13
მესტიის	„	6
წითელწყაროს	„	115
წულუკიძის	„	15